# ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 ორშაბათი, 8 იანვარი № 1348

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ბანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

**რედაქციის კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავადი დ ვით ზაქარიას ძე ბარათაშვილი

გარდაიცვალა ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ ქ. ტფილისს, შაბათს, 6 იანვარს, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებულის მეუღლე კნ. იულია ივანეს ასული, რძალი კნ. ქეთევანა დიმიტრის ასული და შვილი ზაქარია დავითის ძე დებითურთ. პანაშვიდები ყოველ დღე: ნაშუადღევის 1 საათზე და საღამოს 8 საათზე. გარდაცვალებულის გვამის დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (ნ. 3–1)

## ქართული თეატრი

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს, 11 ი ა ნ ვ ა რ ს 1901 წ.

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

**ქ-ნი ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის საბენეფისოდ**

### ბ ე დ ნ ი ე რ ი დ ღ ე

კომედია 3 მოქმ. თხზ. ოსტროვსკისა და სოლოვიევისა, თარგ. ვ. აბაშიძისა.

### მ ე მ ი ნ დ ა კ ნ ე ი ნ ა გ ა ვ ხ დ ე

კომედია 2 მოქმედ. თხზ. ზ. ანტონოვისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, კარგარეთელისა, ნებიერიძისა, მდივანი და გარელი; ბ-ნნი აბაშიძე, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ურუშაძე, მირიანოვი, იმედაშვილი, ავალიანი, და სხ.

**დივერტისმენტი,** რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ოპერეტის არტისტები ბ. თუმანსკი და ბოკოვი: ბ.ბ. ბარათაშვილი და ქართველიშვილი.

დასაწყისი 8 საათზედ. რეჟისორი **ვ. გუნია.**

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**მკურნალის მიხეილ გედევანიშვილისა.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჯიჯიხაძე — კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მიხეილ ა გედევანიშვილი — ნერვებისა და წამლობა ელექტრონით — 9 — 10 ს.

ნ. ა მულინი — ყურისა, ყელისა და ცხვირისა — 10 — 11 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი — კბილის სნეულებანი — 10 2 საათამდე.

ა. ნ. მატინოვი - თვალისა 11 — 12 ს.

ექიმი ქალი შ. ს. ბაქრაძე ბავშვებისა 11 — 12 ს.

დ ა. გედევანიშვილი ნერვებისა და შინაგანი — 12 — 1 საათამდე.

ვ. დ. მარკევიჩი — სადოსტაქრო $12\frac{1}{2}$ — $1\frac{1}{2}$ საათამდე, სამშაბათობით 3 -- 4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი — სიფილისისა, კანისა და საშარდესი — $1\frac{1}{2}$ — 2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი — დედათა სნეულებანი — 5 — 6 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპერაციები — მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი

(წდ.) მიხეილ გედევანიშვილი

## მთავრობის განკარგულებანი *)

### უმაღლესი ბრძანება.

I სამხედრო უწყებას

ღივადია 1 იანვარი.

ალექსანდრეს სახელობის დაჭრილთა კომიტეტის წევრს გენ.-ლეიტ. ქავთარაძეს ებოძა ინფანტერიის გენერლობა.

გენერალ-ლეიტენანტობა ებოძათ: კავკასიის 1 არმიის კორპუსის არტილერიის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელს გენერალ-მაიორს თავ. ხიმშიაშვილს; ივანგოროდის ციხის კომენდანტს გენერალ მაიორს ყაზბეგს, კავკასიის მე-2 ყაზახთა დივიზიის უფროსს გენ.-მაიორს თავ. ჯამბაკურიან-ორბელიანს.

ვარშავის სამხედრო ოლქის სამხედრო გამომძიებელს პოდპოლკოვნიკს ჩიკვაიძეს — პოლკოვნიკობა.

სამხედრო ტოპოგრაფს პორუჩიკს თავ. რუსიშვილს ებოძა შტაბს-კაპიტნობა. პოდპორუჩიკს ხვიტიას — პორუჩიკობა.

ებოძათ შტაბს-კაპიტნობა: ქუთაისის მაზრის უფროსს პორუჩიკს თავ. დადიშკელიანს, ქუთაისის მაზრის მესა'ე განყოფილების მომრიგებელ-შუამავალის თანამდებობის აღმასრულებელს პორუჩიკს ჯაფარიძეს; ამიერ კავკასიის საერობო დარაჯთა ოფიცრებს მესხიშვილსა და ჟვანია

ებოძათ პორუჩიკობა: ვარშავის პოლიციის მოხელეს პო. პორუჩიკს ბალანჩივაძეს; ბაქოს გუბერნატორის საგანგებო საქმეთა მინდობილების ობერ-ობიცერს ხეჩინოვს; შტაბ-როტმისტრს თავ. მელიქიშვილს — როტმისტრობა; გენ.-ლეიტ. თავ. მიხ. ამირიჯიბს ებოძა ორდენი წმ. ალექსანდრე ნეველისა.

მეხუთე კავალერიის დივიზიის უფროსს თავ. დ. ერისთავს ებოძა წმ. ვლადიმერის მეორე ხარისხის ორდენი; მეცხრე კავალერიის დივიზიის მეორე ბრიგადის უფროსს თავ. არჩილ ჭავჭავაძეს ებოძა წმ. სტანისლავის პირველი ხარისხის ორდენი; უმთავრეს შტაბის ობერ-ოფიცერს თავ. კონსტ. წერეთელს ებოძა წმ. სტანისლავის მეორე ხარისხის ორდენი.

ბათუმის ოლქის გონიის ნაწილის უფროს კაპიტ. ივ. მახვილაძე' ებოძა წმ. ანნას მეორე ხარისხის ორდენი

ყარსის სამხედრო გუბერნატორის საგანგებო საქმეთა მინდობილების მოხელეს დ. ნინიაშვილს ებოძა წმ. ანნას მეორე ხარისხის ორდენი.

დაღესტნის ოლქის კიურინის ნაწილის უფროსს გრიგოლ ჯავრიშვილს ებოძა წმ. ანნას მესამე ხარისხის ორდენი.

ქ. ართვინის ბოქაულს ვ დეკანოზიშვილს, ბათუმის ოლქის გონიის ნაწილის საქმის მწარმოებელს უ. კილიფთარიას და ყარსის ოლქის გუბერნატორის კანცელარიის თარჯიმანს მიხეილ მელიქიძეს ებოძათ წმ. სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენი.

II. სამოქალაქო უწყებას.

ებოძათ წმინდა სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენები: ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს საქმის მწარმოებელს გიორგი ყიფიანს, ქუთაისის გუბერ. სვანეთის ნაწილის ბოქაულის თანაშემწეს თავ. ივანე გარდაფხაძეს, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის საგანგებო საქმეთა მინდობილების მოხელეს ვ. ბარკალაიას, ერევნის გუბერ. ნოვობაიაზეთის მაზრის პოლიციის ბოქაულს ალ. მელიქიშვილს, ქ. ყარსის პოლიციის ოფიცერის თანამდებობის აღმასრულებელს ბაგრატ ზედგინიძეს.

ტფილისის მეორე გიმნაზიის მოსამზადებელ კლასის მასწავლებელს იპოლიტე ტატიშვილს ებოძა წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის ორდენი

წმინ. ანნას მესამე ხარისხის ორდენები ებოძათ: ტემრიუკის ქალაქის სასწავლებლის მასწავლებელს შამშე ლომინაძეს, კუბინსკის ქალაქ. სასწ. მასწავლებელს სიმონ გამრეკელიშვილს და სტავროპოლის იოსებ ლალაზიძეს.

სტანისლავის მესამე ხარისხისა ყვირილის ორკლასიან სასწავლებლის ზედამხედველს ომან იოსელიანს, განჯის გიმნაზიის მასწავლებელს თავ. მიხეილ თაქთაქიშვილს.

ტფილისის სამოსამართლო პალატის წევრს ივანე უთნელაშვილს ებოძა დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკობა, ვიტებსკის ოლქის სასამართლოს წევრს მიხეილ გეგიძეს — დეისტ. სტატსკი სოვეტნიკობა.

განჯის ოლქის სასამართლოს წევრს ვასილ აბულაძეს და ერევნის ოლქის სასამართლოს წევრს თავ. სოლომონ მიქელაძეს ებოძათ წმ. ანნას მეორე ხარისხის ორდენი.

ტფილისის პირველ განყოფილების მომრიგებელ მოსამართლეს თავ. ალექსანდრე ჭავჭავაძეს წმ. ანნას მესამე ხარისხის ორდენი.

*) დღეიდან ჩვენს გაზეთში უმაღლესი მთავრობის განკარგულებანი დაიბეჭდება იმავე დღეს, რა დღესაც ოფიციალურ გაზეთ „კავკაზში“ იქნება.

## დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

5 იანვარი

**გულლი.** მოკვდა კიდევ ორი კაცი გემი „ტრიაარი“-დან გადმოსული. მცოდნე კაცების აზრით, ეს ავადმყოფობა არის ფილტვების ჭირი, რომელიც უფრო საშიშია, სინამ შავი ჭირი.

**კაპშტადტი.** ბურები ორჯელ ეცადნენ ბარტლეინეტის აღებას, მაგრამ უკუგდებულ იქმნენ. რამდენიმე ბური მოკლეს ვოლონტიორებმა, რომელნიც ქალაქს იცავდნენ.

**პეკინი.** დღეს, შუადღის უკან, უცხოეთის ელჩებს ჩააბარეს საზავო ოქმი და იმპერატორის ბრძანება ამ ოქმის შესახებ. ამავე დროს ჩინეთის რწმუნებულებმა ჩააბარეს ელჩებს იმპერატორის დეპეშა, რომელშიაც სურვილია გამოთქმული, რომ ტაკუს სიმაგრეები არ დაანგრიონ და მხოლოდ უცხოეთის ჯარები დააყენონ ამ სიმაგრეებში, რომ იარაღის შემოტანა მხოლოდ ვადით აიკრძალოს და რომ დამსჯელი ექსპედიციები ამიერიდან აღარ გაიმართოს. ამას გარდა, იმპერატორი უბრძანებს თავის რწმუნებულებს, რომ მათ წარუდგინონ ელჩებს შემდეგი კითხვები: რამდენი ადგილი უნდათ დაიჭირონ საელჩოებისათვის, რამდენი კაცი იქნება დატოვებული საელჩოების დასაცველად ჯარების წაყვანის შემდეგ, რამდენი იქნება ვარაუდით საზღაური სამხედრო მოქმედებისა, და დასასრულ, როდის დაუბრუნებენ უცხოელები ჩინელებს სამმართველო დაწესებულებებს პეკინში? დამნაშავეთა დასჯას იმპერატორი არ იხსენიებს.

**ბერლინი.** „რეიხს. ანცეიგერ“-მა გამოაცხადა ცნობა, რომ დაწესებულ იქნა ახალი ორდენი პრუსსიის სამეფო გვირგვინისა; იმას მხოლოდ ერთი ხარისხი ექნება და ეჭირება ადგილი შავი არწივის ორდენისა და წითელი არწივის ორდენის შუა.

6 იანვარი

**სტანდერტონი.** კოლვილის რაზმს დაეცა 1000 ბური; ბრიტანიის ცხენოსანი ჯარის მოწინავე რაზმი ეტაკა ბურებს და უკან დაახევინა 800 კაცს; დანარჩენი ბურები მედგრად ეცნენ ინგლისელების ფურგუნების ქარავანს, მაგრამ უკუგდებულ იქმნენ მძიმე ზარალით: ერთი მოუკლეს და 15 დაუჭრეს.

**კაპშტადტი.** კაპის ახალშენის დასავლეთ ნაწილში შესული ბურები წინ აღარ მიდიან; გაფანტული რაზმები უკან იხევენ და თავს იყრიან დიდ რაზმთან. კალვინიაში და მადულანდში ბურები უფრო მხნედ იქცევიან: ისინი მიდიან ვილსუმორზე. ძრიელი ბრძოლა მოხდა მურეისბურგთან 29 დეკემბერს; ინგლისელებმა დაკარგეს აქ 20 კაცი. ჰოლანდიელები, 100 კაცამდე, მიუდგნენ შემოსეულ ბურებს.

**ლონდონი.** ოფიციალური ცნობა აცხადებს, რომ რადგანაც მეტის-მეტმა აღელვებულმა მდგომარეობამ მთელი წარსული წლის განმავლობაში მოუშალა დედოფალს ნერვების სისტემა, ამიტომ ექიმებმა საჭიროდ სცნეს ურჩიონ მის უდიდებულესობას მოსვენებით ბძანდებოდეს თავის ოთახებში და მოერიდოს სახემწიფო საქმეების მართვას.

**ლონდონი.** კიტჩენერი იუწყება პრეტორიიდან: „ახალი ზელანდიის და ავსტრალიის ჯარებმა იერიში მიიტანეს 800 ბურზედ ვენტესბურგიდან რვა მილის სიშორეზედ დასავლეთით და სრულებით დაამარცხეს; ხუთი კაცი მოკლეს და ორი დასჭრეს; ბევრი ცხენი იპოვეს უპატრონოდ; დიდძალი უნაგირები და ტყავის ნივთები დავლად აიღეს; ინგლისელების მხრივ ერთია დაჭრილი“.

**ვენა.** „პოლიტიშე კორესპონდენც“ იუწყება, რომ რუმინის მინისტრ-პრეზიდენტ-

მა გამოთქვა ერთ ჟურნალისტთან საუბრის დროს, რომ განხეთქილება რუმინიისა და ბოლგარიის შუა არ გადაიქცევა საერთაშორისო საქმედ და უეჭველია მშვიდობიანად გადასწყდებაო.

## ახალი ამბავი

◆ გუშინწინ, 6 იანვარს, საღამოს 8 საათზე, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ტფილისში გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მემამულე თავ. დავით ზაქარიას ძე ბარათაშვილი.

◆ მისმა მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესობამ საქართველოს ეგზარხოსმა ფლაბიანემ წმ. იოანე ღვთის მეტყველის სახელობაზე განზრახულ ეკლესიის ასაშენებლად კოლოლანოვის ქუჩაზე შესწირა 300 მან.

◆ ტფილისის გუბერნატორის ბინაზე დღეს, 8 იანვარს, საღამოს 8 საათზე გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლის ბ-ნ სვეჩინის თავმჯდომარეობით სხდომა ექმნება ახალქალაქის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარებელ ტფილისის უმთავრეს კომიტეტს.

◆ დღეს, 8 იანვარს, ქალაქის საბჭოს მორიგ კრებაზე განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები: 1) მოხსენება ქალაქის გამგეობისა ხორცზე ნიხრის შეცვლის შესახებ; 2) ტფილისის პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებლის შუამდგომლობა ერთის ეკიპაჟის შესაძენად ფულების სესხების შესახებ; 3) ქალაქის ლომბარდის 1900 წლის ანგარიშის სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევანი; 4) არჩევანი ქალაქის გამგეობის წევრისა თავ. ა. მ. არგუთინსკი-დოლგორუკოვის ნაცვლად, რომელსაც სამსახურის ვადა გაუთავდა; 5) ნავთლუღისა და მამუკაანთ სოფლის მცხოვრებთა თხოვნა იმის შესახებ, რომ განთავისუფლებულ იქმნეს მათი საქონელი გარდასახადისაგან, რომლითაც ქალაქსა და სოფელ შუა სხვა და სხვა სანოვაგეს ეზიდებიან; 6) მოხსენება სასწავლებელთათვის მკურნალის თანამდებობის დაარსების შესახებ და სხვანი. სულ ამ საღამოს საბჭოს განსახილველად აქვს 20 საქმე.

◆ პარასკევს, 5 იანვარს, ქალაქის გამგეობამ განიხილა მოხსენება უფროსი ბუღალტერისა იმის შესახებ, რომ გაგრძელებულ იქმნეს 1900 წლის ივნისში დაწყებული მუშაობა ქალაქის მცხოვრებთაგან გამგეობაში წარდგენილ იმ ფულების რაოდენობის გამოსარკვევად, რომელიც გადადებულია ქალაქის ქვაფენილებისა და არხების გასაყვანად. ქალაქის გამგეობამ საჭიროდ იცნო ამ სამუშაოს გაგრძელება, რისთვისაც დაადგინა მოიწვიონ ბუღალტერის თანაშემწე მ. ნიკოლაძე, რომელსაც ჯამაგირად დაენიშნება 800 მან. წელიწადში.

◆ ხუთშაბათს, 4 იანვარს, ტფილისის მეორე კლასიკურ გიმნაზიის მე-VII კლასის მეორე განყოფილების მოწაფეებისაგან გიმნაზიის სადგომში გამართულ იქმნა შინაური წარმოდგენა; წარმოადგინეს პუშკინის „ძუნწი“ და „ბორის გოდუნოვიდგან“ ორი სცენა. წარმოდგენას მრავალი მოსწავლეთა ნაცნობ ნათესავები დაესწრნენ. რაც შეეხება სცენის მოყვარეთ, წარმოდგენამ კარგად ჩაიარა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

※ ლონდონიდან იწერებიან, რომ ინგლისელებმა, რომლებიც სძრახავდნენ პრეზიდენტ კრიუგერს, ვითომც ის ტრანსვაალის მაღნების აფეთქებას აპირებსო, ეხლა თითონ დინამიტის ნაღმები გაუკეთეს ამ მაღნებს და აცხადებენ, რომ ააფეთქებენ ამ ნაღმებს, რა წამს საჭიროება მოითხოვსო.

※ ლონდონიდან იწერებიან, რომ კაპის ოლქში შესეულ ბურების სარდალმა ჰერცოგმა თავისი ბანაკი გამართა კაპშტადტიდან 75 ვერსტის სიშორეზედაო. დაეჯერებელია, რომ ბურებმა განდევნონ ინგლისელები სამხრეთ აფრიკიდან, მაგრამ ინგლისელებს თითონ შესაძლებლად მიაჩნიათ ეს ამბავი. პოლიტიკურ წრეებში არ მოსწონთ კიტჩენერის ახალი სისტემა, რომელიც იმაში მდგომარეობს რომ ის აგროვებს ორანჟეს და ტრანსვაალის რესპუბლიკებში გაფანტულ ჯარებს უმთავრეს ადგილებში. ამით კიტჩენერი თითქო აღიარებს, რომ ინგლისელებს არ შეუძლიანთ რესპუბლიკების მთელი ტერიტორიის დაცვა და ამით თითქო აუქმებს ოფიციალურს განცხადებას რესპუბლიკების შეერთებაზედ ინგლისის სამფლობელოებთან. ვინც კარგად იცის ინგლისის ჯარის მდგომარეობა სამხრეთ აფრიკაში, ამართლებენ კიტჩენერს, რადგანაც რამდენიმე ადგილას მოგროვებული ჯარები რიგით იმოქმედებენ და დაისვენებენო, თორემ ესე, ათას ადგილას გაფანტული ჯარები მეტის მეტად დაიქანცნენ და დაიღალნენო.

※ ერთი გერმანელ მუშა კაცს წერილი მოუწერია თავისი დედისათვის პრეტორიიდან: «აქ ძალიან დიდი სიძვირეა, ყველაფერი მამა-სისხლად იყიდება: ერთი ლიტრი კეროსინი — 2 მან. ღირს, 1 გირვ. კარტოფილი — 1 მან. 50 კაპ., 1 კოლოფი სპიჩკა — 20 კაპ. ბურებს ერთი გენერალი ჰყოლიათ გვარად დევეტი და ეს საშინელი სიძვირე სულ იმისი ბრალიაო, როგორც ინგლისელები ამბობენ».

შემდეგ ავტორი უამბობს თავის დედას დევეტის საარაკო ამბებს რაც ჩვენ უკვე ვიცით.

※ «დეილი მაილს» გაუგია ვითომ მეტად სარწმუნო წყაროებიდან, რომ ჩინეთისაგან სახემწიფოები ამდენს საზღაურს თხოულობენ სათითაოდ: გერმანია თხოულობს — 15,000,00 გირვანქა სტერლინგს (ერთი გირვანქა სტერლინგი უდრის თითქმის ჩვენებურ ათ მანეთს), ინგლისი — 12 მილიონს, საფრანგეთი — 5 მილიონს, რუსეთი — 3 მილ., იტალია — 1,200,000, შეერთებული შტატები — 1 მილიონს.

## საღამოს დეპეშები

7 იანვარი.

**პეტერბურგი.** 6 იანვარს დიდის ამბით გახსნეს ფრანგული მხატვრობის გამოფენა მხატვრობის მფარველ საიმპერატორო საზოგადოების დარბაზში. გამოფენა მხატვრობის მხრივ დიდად საინტერესოა; ექსპონატების რიცხვი 437 აღის. 6 იანვარს საზამთრო სასახლის დიდი საკრებულო ტაძრიდან სამღვდელოება ლიტანიით წავიდა წყლის საკურთხებლად იორდანეზე. მწირველი ბძანდებოდა მიტროპოლიტი ანტონი.

**კოუსი.** დედოფალმა ღამე კარგად გაატარა. დილით ის შესამჩნევად უფრო კარგად გრძნობდა თავსა.

**ბერლინი.** „რეიხსანცეიგერ“-მა გამოაცხადა სასახლის ცნობა, რომლის თანახმად რადგანაც ინგლისის დედოფალი ავად ბრძანდება და იმპერატორი ინგლისში მიდის, 8 და 10 იანვრისათვის დანიშნული დიდი ხალხის მიღება გაუქმებულ იქმნა.

**ოსბორნი.** ოფიციალური ბიულეტენი იუწყება შუადღის დროს, რომ დედოფალი ძალიან სუსტათა ბძანდებაო. ასე რომ მორჩენა საეჭოდ მიაჩნიათო.

**ლონდონი.** უელსის პრინცი, რომელიც სანდრინგემში აპირებდა წასვლას, ოსბორნში წავიდა.

**ბერლინი.** იმპერატორი საგანგებო მატარებლით მიდის ლონდონში კონნაუტის ჰერცოგთან ერთად.

**ლონდონი.** იუწყებიან, რომ დედოფალ ვიქტორიას თვალები ძალიან დაუსუსტდაო. პროფესორი პაგენშტეხერი საიდუმლოდ დაიბარეს ვისბადენიდან: დედოფალს შობის კვირაში სუმბუქად წვეთი დაეცა.

**ლონდონი.** ცნობები დედოფლის ავადმყოფობაზე ძლიერ ცუდებია; ახლო ნათესავები იკრიბებიან ავადმყოფთან.

**ლონდონი.** უელსის პრინცესსა წავიდა ოსბორნში; მასთან ერთად წავიდა იორკის ჰერცოგიც.

**ლონდონი.** ბიულლეტენი: „საღამოს 6 საათი. დედოფალი მთელი დღე საკმაოდ კარგა ჯანზე ბძანდებოდა, ცოტა უკეთესობაც ეტყობა. საღამოს 9 საათი. მიღებული ცნობებით, დედოფალი უფრო ავად გამხდარა; ღონე კი ეტყობა აღარ აკლდება.

**ლონდონი.** გვიან საღამოთი გავრცელდა სანუგეშო ხმები დედოფლის კარგად მყოფობაზე, მაგრამ ეს ხმები არა მტკიცდება; პირიქით დედოფლის მდგომარეობა ისევ ისე სერიოზულია, და დიდ შიშსა ჰგვრის ყველას.

ინგლისურმა კრეისერმა „მინერვამ“ ბრძანება მიიღო წავიდეს ფლისსინგენში, რათა მოიყვანოს ინგლისში იმპერატორი ვილჰელმი და ჰერცოგი კონნაუტისა.

## წერილი რედაქციის მიმართ

გიგზავნით ჩემ-მიერ შეკრებილ ფულს შეუძლებელ სტუდენტთა სასარგებლოდ, რომელთა გაჭირვებული მდგომარეობაც ამოვიკითხე თქვენის გაზეთის ერთ-ერთ წარსულ ნომერში; ამასთანავე გიგზავნით შემომწირველთა სიასაც და გთხოვთ ადგილი მისცეთ თქვენის გაზეთის ერთ-ერთ მახლობელ ნომერში.

მარიამ კვალიაშვილისა 1 მან., ნინო მირიანაშვილისა — 1 მან, სოლომონ დოლიძე — 1 მ., დავით გოცირიძე — 50 კ., გიორგი ბაქრაძე — 50 კაპ., წულუკიძე — 50 კაპ., კიკნაძე — 50 კ., ნემსაძე — 50 კაპ., გიორგობიანი — 50 კ, თედორაშვილი — 50 კაპ, მეტონიძე - 30 კ., დიმიტრი უშვერიძე — 50 კაპ, გადილია - 50 კ. ლეჟავა — 50 კ., გაბრიელ ქვლივიძე 1 მან., კუპრაშვილი — 20 კაპ, ალ. ნადირაძე 30 კ. №№ — 20 კაპ., სულ - ერთი თუმანი.

ნ. მირიანაშვილი.

სად. განჯა.

### პეტერბურგის ბირჟა 3 იანვარს

ვექსელის კურსი 3 თვით

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონზე 10 გირვ. სტ. | | | [illegible] |
| ბერლინზე 100 მარკაში | | | 45,85 |
| პარიზზე 100 ფრანკში | | | 37,40 |
| ლონდონზე ჩეკები | | | 94,70 |
| ბერლინზე „ | | | 46,30 |
| პარიზზე „ | | | 37,70 |
| ბირჟის დისკონტი | | | 6½–7½ |

| | მყიდვ. | გამყ. | გაყიდ. |
|---|---|---|---|
| | მ | ა ნ ა | თ ი. |
| 4% სახელმწიფო რენტა | — | — | 96¼ |
| 4½% შინაგანი სესხ. 893 წ. | 99¼ | — | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. სა-ადგ. მამ. ბანკისა | — | 96 | — |
| 5% 1-ლი შინაგ. სესხის მოგებ. ბილ. 864 წ. | — | — | 328 |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მოგებ. ბილ. 1866 წ. | -- | — | 295 |
| 5% გირავნ. მოგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | 18¼ | — | — |
| 3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა | 87⅝ | — | — |
| ტფილ. სადგ.-მამ. ბანკი 5% გირავნ. ფურცლ | 92½ | — | — |
| 4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა | 86¼ | — | — |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ | 100 | — | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | 92½ | — | — |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. | 93¾ | — | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — | — | — |

რედაქტორი ალ. ჭყონია.

გამომცემელი ალ. ჯაბადარი.


ПОДПИСКА НА 1901 Г. ОТКТЫТА

# „РОДИНА“

1901 г. (двадцать третій годъ изданія) 1901 г.

Вступая въ въ 1901-мъ г., въ двадцать третій годъ изданія, „РОДИНА“, какъ и прежде будетъ преслѣдовать свою постоянную цѣль, а именно: быть истиннымъ другомъ каждой русской семьи. Въ 1901 году „РОДИНА“ будетъ печатать въ журналѣ еженедѣльно отдѣлъ „современныя событія“, гдѣ читатели найдутъ „иллюстрированный обозръ“ современной жизни всего міра, и, не увеличивая подписной цѣны, прибавляетъ еще шестр книгъ, вслѣдствіе чего подписчики получатъ вмѣсто прежнихъ 12—восемнадцать книгъ.

Для участія въ „РОДИНѢ“ приглашены извѣстнѣйшія крупныя силы русской литературы, и уже пріобрѣтены слѣдующія оригинальныя (не переводныя) сочиненія:
Графа Е. Саліаса—„Князья Татевы“, историч. романъ Кн. М Н. Волконскаго—„Черный человѣкъ“ историч. ром.; Вас. И. Нимеровича Данченко—„Вольный Шамхаръ“, истор. ром.; А. Д. Апраксина—„Совѣсть“, ром. изъ соврем. русск. жизни; В. Я. Свѣтлова—„Водоворотъ“, современ. ром. въ 3 част.; П. Н. Полевого—„усмотрѣлъ“ историч. пов.; А. Е. Красницкаго—„Въ пасти дракона“, ром. на соврем. событія въ Китаѣ; А. А. Соколова—„Новый человѣкъ“, повѣсть; Е. О. Дубровиной—„Подъ чужой волею“, историч. ром.; Павлова—„У ступеней трона“ историческій романъ.

Кромѣ того, будутъ напечатаны романы, разсказы, повѣсти, стихотворенія, очерки, драмы, комедіи и водевили: И. Н. Потапенко, К. В. Назарьевой, А. И. Лаврова, М. Ф. Караулова, О. Н. Чюминой, А. Е. Зартна, I. I. Ясинскаго, И. Вязовсеаго, Е. И. Зариной, и многъ друг. извѣстн. писателей.

въ теченіе 1901 года каждый подписчикъ получитъ:

**52** №№ иллюстрирован. литературнаго журнала, въ которомъ кромѣ романовъ, повѣстей, разсказовъ и стихотвореній, выходятъ еженедѣльно, т. е., въ годъ

**52** раза **„современныя событія“**—отдѣлъ, въ которомъ печатается иллюстрированный обзоръ событій изъ современной жизни всего міра, съ рисунками, портретами, видами и проч.

**52** раза „Развлеченіе въ часы отдыха“—отдѣлъ, въ которомъ помѣщаются задачи, шарады, юмористическія сцены съ рисунками, семейныя игры и проч. Сверхъ того,

**52** раза Политическая общественная газета: правительственныя распоряженія, внѣшняя и внутренняя политика, новости дня, фельетоны, и проч.

**18 восемнадцать книгъ,** заключающихъ въ себѣ лучшія современныя и историческія произведенія литературы и общеполезныя свѣдѣнія по дому и хозяйству, гигіенѣ, народному здравію и пр.

ДАРОВЫЯ ПРИЛОЖЕНІЯ: 12 №№ Модъ и рукодѣлій, съ рисунками; 12 листовъ модныхъ выкроекъ в натуральную величину; 12 листовъ рисунковъ для выпиловки; 12 №№ Нотъ для пѣнія и инструментовъ; 12 №№ „Для Дѣтей“: повѣсти, рассказы съ рисунками; 12 №№ Сельскаго Хозяйства и Домоводства; 12 раскрашенныхъ листовъ узоровъ для тамбурныхъ, канвовыхъ и другихъ работъ; 12 выпусковъ драматическихъ сочиненій подъ названіемъ: „домашній театръ“.

Въ числѣ восемнадцати (18) книгъ кромѣ романовъ и общеполезн. свѣдѣній, подписчики получатъ: **„божественная комедія“** первое въ Россіи стихотворное общедоступное изданіе поэмы Данте, изображающей грѣхи и заблужденія людей, а также наказанія и радости загробнаго міра. Поэма, назвввная авторомъ „Комедія“ и получившая затѣмъ, ввиду ея высокихъ достоинствъ, названіе „Божественная“, заключать 14.000 стиховъ, иллюстрирован. 135-ю большими рисунками Г. Доре и выходитъ при „РОДИНѢ“ въ полномъ стихотворномъ переводѣ О. Н. Чюминой, въ шести большихъ выпускахъ, изъ которыхъ въ 1901 году гг. подписчики получагь два выпуска (3-й и 4-й), содержащихъ въ себѣ до 5.000 стиховъ и около 50 большихъ рисунковъ.

**„Словарь-травникъ и цвѣтникъ“**—большое иллюстрированное изданіе (томъ IV-й, последній), содержащее описаніе растеній какъ цѣлебныхъ, такъ полезныхъ и вредныхъ, съ указаніемъ ихъ врачебнаго дѣйствія на человѣка и животныхъ и способовъ приготовленія домашнихъ лѣчебныхъ средствъ, съ иллюстраціями и раскрашенными рисунками.

Сверхъ того, безплатно подписчики получатъ: 1) Стѣнной Табель-Календарь на 1901 г., отпечатанный разными красками; 2) Календарь-Собесѣдникъ на 1901 г.—книжка большого формата, въ двухъ частяхъ: часть 1-я: Справочный отдѣлъ. Часть II Литературный отдѣлъ: повѣсти, разсказы и юмористика.

**3 и 4) Двѣ большія картины** (олеографіи, отпечатанныя красками въ 22 тона, размѣръ 56×35 сантиметр.): I) Бракъ въ Канѣ Галилейской. II) Іоаннъ Грозный въ своей сокровищницѣ.

Эти двѣ картины прекрасно исполнены масляными красками и по своему содержанію являются для каждой семьи наилучшимъ напоминаніемъ о событіяхъ евангельской и русской исторіи.

Подписная цѣна за годъ безъ доставки **4 р.**
Съ упаковкой и пересылкой во всѣ города и мѣста Россіи . . . . **6** руб.
ВЪ С.-ПЕТЕРБУРГѢ съ доставкой . . . . **5** руб.
**Въ Москвѣ,** через отдѣленіе конторы: углу Кузнецкаго и Неглинной, д. Третьякова. безъ доставки . . . . **5** руб.

РАЗСРОЧКА ДОПУСКАЕТСЯ: при подпискѣ - 2 рубля, 1-го марта—1 руб., 1-го іюня—1 руб., 1-го августа—1 р. и 1-го сентября—1 руб.

С.-ПЕТЕРБУРГЪ: 1) Лиговская ул., собств. д., № 114, и 2) Садовая ул., ь. № 20.


Дозволено цензурою Тифлисъ, 7 Января 1901 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.